საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2025 წელი

2025 წელს საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 25 820.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.1%-ით მეტია. ექსპორტი გაიზარდა 11.2%-ით და 7 291.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგინა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 9.7%-ით და 18 529.7 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. ამასთან, სამივე კომპონენტში მაჩვენებელმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია.

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 11 238.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და იმპორტთან შედარებით ექსპორტის მაღალი ზრდის ტემპის გათვალისწინებით სავაჭრო ბრუნვაში მისი ნეგატიური წილი 0.5%-ით შემცირდა და 43.5% დაიკავა (2024-44%). შესაბამისად 0.2%-ით გაიზარდა ექსპორტის წილი ბრუნვაში და 28,2% შეადგინა.



ადგილობრივი ექსპორტი

ადგილობრივი ექსპორტმა 3 367.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და 12.5%-ით გაიზარდა. ამასთან, მთლიანი ექსპორტის (ადგილობრივ ექსპორტს + რე-ექსპორტი) ზრდასთან შედარებით მაღალი ზრდის გამო 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 46.2% დაიკავა (2024-45.5%).

ადგილობრივი ექსპორტის ძირითად 10 პოზიციას მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 58.2% უკავია. ეს პოზიციებია:

- ძვირფასი ლითონის მადნები - 378.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 59.5%)
- ღვინო - 266.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 3%)
- სპირტიანი სასმელები -236.8მლნ. აშშ დოლარი (კლება 5.3%)
- ფეროშენადნობები - 225.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 29.9%)
- მინერალური წყლები - 173.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 5.7%)

- თხილი - 169.4 აშშ დოლარი (ზრდა 63.2%)
- უალკოჰოლო სასმელები - 165.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20.6%)
- აზოტოვანი სასუქები - 130.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 10%)
- ოქრო დაუმუშავებელი - 122.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16.9%)
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 92.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 1.6%)

რე- ექსპორტი

რე-ექსპორტი 10%-ით გაიზარდა და 3923.8 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 53.8% შეადგინა. რე-ექსპორტში ძირითადი სასაქონლო პოზიციებია:

- ავტომობილები - 2814.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16%)
- მედიკამენტები 106.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 2.3%)
- ნავთობპროდუქტები 68.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 8%)
- თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები - 53.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 5%)
- სიგარეტები 43 მლნ. აშშ დოლარი (კლება30%)
- სპირტიანი სასმელები - 45,7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19%)
- სატვირთო ავტომობილები - 41.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 29%)
- მუყაოს ტარა - 39.5 მლნ. აშშ დოლარი ზრდა 5%)
- სამედიცინო ხელსაწყოები -33.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5%)
- საბურავები -29.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 54%)

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2025 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.5% შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (2 775.0 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (2 723.7 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 985.4 მლნ. აშშ დოლარი).



საქართველოს ექსპორტი

2025 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.3% შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული: ყირგიზეთი (1 498.8 მლნ. აშშ დოლარი), ყაზახეთი (910.0 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (749.3 მლნ. აშშ დოლარი).



2025 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 2 814.4 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 38.6%-ს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 378.9 მლნ. აშშ დოლარით (ექსპორტის 5.2%), ხოლო სპირტიანი სასმელები მესამე ადგილზეა 282.5 მლნ. აშშ დოლარით (ექსპორტის 3.9%).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 10%-ით გაიზარდა და 1 844.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, **სამრეწველო** პოზიციები 12%-ით გაიზარდა და 5 450.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ძირითადად გაიზარდა შემდეგი პოზიციებზე:

- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 173.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 6%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 41% (კლება 8%), ყაზახეთი 20% (ზრდა 14%), უკრაინა 12% (ზრდა 7%), უზბეკეთი 7% (ზრდა 48%), ლიეტუვა 6% (ზრდა 14%), გერმანია 2% (ზრდა 25%).
- **თხილი** - ექსპორტი 171.7 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 62%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია 21% (ზრდა 103%), ესპანეთი 15% (ზრდა 73%), გერმანია 7% (ზრდა 23%), საფრანგეთი 7% (ზრდა 89%), თურქეთი 3% (ზრდა 118%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 166.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 21%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 30% (კლება 16%), აზერბაიჯანი 19% (ზრდა 42%), ყაზახეთი 17% (ზრდა 64%), სომხეთი 10% (ზრდა 32%), უზბეკეთი 8% (ზრდა 37%).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 24.1 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 34% (ზრდა 60%), აშშ 21% (ზრდა 7%), ავსტრალია 12% (ზრდა 55%), იაპონია 4% (კლება 24%), ისრაელი 6% (კლება 64%).

ამასთან, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაში ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ღვინო** - ექსპორტი 267.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 3%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 64% (კლება 7%), პოლონეთი 6% (ზრდა 2%), უკრაინა 5% (ზრდა 7%), ყაზახეთი 4% (კლება 10%), ჩინეთი 4% (ზრდა 6%), აშშ 2% (კლება 17%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 282.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 2%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 56% (ზრდა 2%), სომხეთი 15% (კლება 12%), უკრაინა 6% (კლება 22%), ბელარუსი 4% (კლება 6%), საფრანგეთი 2% (კლება 36%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 1%).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 127.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 2%). საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 50% (კლება 8%), აზერბაიჯანი 23% (ზრდა 10%), სომხეთი 10% (ზრდა 9%).
- **სანელებლები** - ექსპორტი 26.7 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 27%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 66% (კლება 38%), რუსეთი 23% (ზრდა 8%), უკრაინა 4% (ზრდა 41%).
- **ციტრუსები** - ექსპორტი 27 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 60% (კლება 29%), სომხეთი 36% (კლება 6%), გერმანია 1% (კლება 1%).
- **ცოცხალი ცხვარი** - ექსპორტი 26.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 32%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 59% (ზრდა 12%), საუდის არაბეთი 23% (კლება 74%), ქუვეითი 4% (2024-0).

- **სიგარეტები** - ექსპორტი 44.1 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 31%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 79% (კლება 35%), ყაზახეთი 3% (კლება 78%), ინდოეთი 2% (კლება 75%), რუსეთი 3% (2024-0), ჩინეთი 1% (2024-0).

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სამრეწველო პოზიციებზე

- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 2 814.4 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 16%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 51% (ზრდა 19%), ყაზახეთი 28% (ზრდა 4%), აზერბაიჯანი 8% (კლება 26%), სომხეთი 2% (კლება 45%).
- **ძვირფასი ლითონის მადნები** - 378.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 60%). ძირითადი ბაზრები: ჩინეთი 63% (ზრდა 31%), ბულგარეთი 37% (ზრდა 153%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 132.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი 26% (ზრდა 93%), ესპანეთი 10% (ზრდა 77%), ნამიბია 7% (კლება 0.2%), ტანზანია 8% (ზრდა 5-ჯერ), ინდოეთი 6% (კლება 61%), იტალია 4% (ზრდა 2.5-ჯერ), განა 5% (ზრდა 25%), პერუ 6% (კლება 79%).
- **დაუმუშავებელი ოქრო** - ექსპორტი 122.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 17%). საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 83% (ზრდა 5%), თურქეთი 11% (ზრდა 106%), ემირატები 6% (ზრდა 4-ჯერ).
- **მამაკაცის კოსტუმები** - ექსპორტი 75.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 6%). საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 94% (ზრდა 14%).
- **სამედიცინო ხელსაწყოები** - ექსპორტი 46 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 0.2%). საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 44% (კლება 12%), უზბეკეთი 9% (ზრდა 3%), რუსეთი 3% (ზრდა 89%).
- **საბურავები** - ექსპორტი 29.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 54%). საექსპორტო ბაზრები: ნიდერლანდები 36% (2024-0), პოლონეთი 14% (ზრდა 3%), თურქეთი 6% (კლება 80%), ეგვიპტე (მ/წელს არ გასულა; 2024-1.1 მლნ).

სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა ძირითადად შემდეგ პოზიციებზე:

- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 225.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 30%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია 16% (ზრდა 2.5-ჯერ), თურქეთი 18% (კლება 73%), აშშ 16% (კლება 59%), ესპანეთი 8% (ზრდა 163%), საბერძნეთი 6% (2024-0), ნიდერლანდები 7% (ზრდა 2-ჯერ), პორტუგალია 3% (2024-0), აზერბაიჯანი 3% (კლება 1%), რუმინეთი 3% (2024-0), უკრაინა 1% (კლება 61%), საფრანგეთი 2% (ზრდა 43%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 92.4 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 2%). საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 72% (ზრდა 21%), ჩინეთი 28% (კლება 34%).
- **სატვირთო ავტომობილები** - ექსპორტი 41.7 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 29%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 52% (კლება 32%), სომხეთი 16% (კლება 55%), ყირგიზეთი 10% (კლება 21%), ყაზახეთი 11% (ზრდა 37%), ლიეტუვა 7% (2024-0).

- **ელექტრული წყალგამახურებლები** - ექსპორტი 23.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 34%). საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი 29% (კლება 54%), რუსეთი 17% (კლება 53%), სომხეთი 30% (ზრდა 10%).

საქართველოს იმპორტი

2025 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.5% შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (2 775.0 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (2 723.7 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 985.4 მლნ. აშშ დოლარი).



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფიდან 2025 წელს პირველ ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები, რომელმაც 3 870.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 20.9% შეადგინა. მეორე ადგილს იკავებს ნავთობპროდუქტები 1 358.8 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.3%), ხოლო მესამე ადგილზეა მედიკამენტები 680.3 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 3.7%).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 18% გაიზარდა და 2 598.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** 8% გაიზარდა და 15 930.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - 3 870.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 59% (ზრდა 21%), გერმანია 17% (ზრდა 5%), იაპონია 9% (კლება 37%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - 1 358.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 4%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 35% (კლება 8%), რუმინეთი 17% (ზრდა 41%), ბულგარეთი 14% (ზრდა 5%), აზერბაიჯანი 9% (ზრდა 55%), თურქეთი 8% (ზრდა 40%), საბერძნეთი 2% (კლება 52%).
- **სურათები და ნახატები** - 481.1 მლნ. აშშ დოლარი (2024-0). იმპორტიორი ქვეყნებია: გაერთიანებული სამეფო 53% (2024-0), აშშ 47% (2024-0).
- **ნავთობის აირები** - 443.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 2%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 47% (ზრდა 14%), აზერბაიჯანი 53% (კლება 7%).
- **სამკურნალო საშუალებები** - 680.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 9%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 25% (ზრდა 1%), გერმანია 12% (ზრდა 19%), შვეიცარია 8% (ზრდა 2%), უნგრეთი 9% (ზრდა 20%), ინდოეთი 4% (ზრდა 18%), საფრანგეთი 5% (ზრდა 3%).
- **სატელეფონო აპარატები** - 343.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 3%). იმპორტიორი ქვეყნებია: საამიროები 51% (ზრდა 5%), ვიეტნამი 8% (ზრდა 27%), ჩეხეთი 18% (ზრდა 3%), ჩინეთი 8% (ზრდა 25%), ჰონგ-კონგი 6% (კლება 15%).
- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 122.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 12%). იმპორტიორი ქვეყნები: ჩინეთი 34% (ზრდა 39%), ბრაზილია 12% (ზრდა 16%), უკრაინა 13% (ზრდა 18%), აშშ 11% (ზრდა 6%), თურქეთი 12% (ზრდა 42%), ნიდერლანდები 4% (ზრდა 12%), საფრანგეთი 3% (კლება 37%).
- **ნაღების კარაქი** - 62.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 56%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 32% (ზრდა 68%), ურუგვაი 10% (ზრდა 25%), ირანი 10% (ზრდა 20%), ფინეთი 8% (ზრდა 34%), პარაგვაი 12% (ზრდა 122%), დანია 4% (ზრდა 67%), არგენტინა 1% (კლება 67%).
- **ხორბალი** - 128.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 69%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 80% (ზრდა 35%), ყაზახეთი 20% (2024-0).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - 81.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 12%). იმპორტიორი ქვეყნებია: სომხეთი 92% (ზრდა 8%), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 2-ჯერ).
- **ღორის ხორცი გაყინული** - იმპორტი 69.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 28%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 78% (ზრდა 22%), რუსეთი 15% (ზრდა 97%).

- **მცენარეული (მზეს.) ზეთი -** 68.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 30%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 83% (ზრდა 28%), უკრაინა 10% (ზრდა 23%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 5%).

საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **მეტალოკონსტრუქციები** - 123.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 10%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 51% (კლება 13%), ჩინეთი 20% (ზრდა 38%), საამიროები 5% (კლება 33%), ავსტრია 4% (კლება 62%), ინდოეთი 0.5% (კლება 88%). **ცემენტი** - 90.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 8%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 75% (კლება 41%), აზერბაიჯანი 24% (ზრდა 14%).
- **შაქარი -** 79.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 9%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 28% (კლება 18%), პოლონეთი 21% (ზრდა 3-ჯერ), საფრანგეთი 22% (კლება 4%), ნიდერლანდები 13% (კლება 7%), უკრაინა 5% (ზრდა 2-ჯერ), გერმანია 1% (კლება 58%), რუსეთი 1% (კლება 75%).
- **ხორბლის ფქვილი** - 10.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 43%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 72% (კლება 56%), თურქეთი 14% (ზრდა 34%), იტალია 6% (ზრდა 55%).

საქართველო - ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 8.4%-ით გაიზარდა, 5 584.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 22% დაიკავა **(2024-22%)**. **ექსპორტი** გაიზარდა 52.8%-ით, 876.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 12% შეადგინა (**2024-9%). იმპორტი გაიზარდა 3%-ით** 4 707.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 25% დაიკავა (**2024–27%).**

ევროკავშირში ადგილობრივი 62.6%-ით გაიზარდა, 708.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, შესაბამისად მაღალი ზრდის ტემპის შედეგად 7%-ით გაიზარდა მისი წილი საქართველოს მთლიანი ადგილობრივ ექსპორტში და 23% დაიკავა **(2024 – 16%)**. ამასთან, ევროკავშირში **საქართველოს** მთლიანი ექსპორტის 88.5% ადგილობრივმა ექსპორტმა დაიკავა.

რე-ექსპორტი გაიზარდა 4%-ით 100.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 11.5% და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 3% დაიკავა.**(2024 – 3%).**

სასოფლო-სამეურნეო პოზიციების ექსპორტი გაიზარდა 36%-ით და 244.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი** გაიზარდა 61%-ით და 632.2 მლნ აშშ დოლარით გან ისაზღვრა.

ქსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 66.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 21%). მთლიანი ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში.
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 64.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 125%). საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი 53% (ზრდა 93%), ესპანეთი 20% (ზრდა 77%), ლიეტუვა 13% (2024-0), იტალია 9% (ზრდა 2.5-ჯერ), ბულგარეთი 5% (ზრდა 73%).
- **თხილი** - ექსპორტი 112 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 74%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 33% (ზრდა 103%), ესპანეთი 23% (ზრდა 73%), საფრანგეთი 10% (ზრდა 89%), გერმანია 10% (ზრდა 23%), პოლონეთი 5% (ზრდა 12%), ჩეხეთი 5% (ზრდა 81%).
- **ფეროშენადნობი** - 108.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 2.5-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 33% (ზრდა 2.5-ჯერ), ესპანეთი 16% (ზრდა 163%), საბერძნეთი 13% (2024-0), პორტუგალია 6% (2024-0), ნიდერლანდები 15% (ზრდა 2-ჯერ), საფრანგეთი 5% (ზრდა 43%), რუმინეთი 7% (2024-0).
- **ღვინო** - ექსპორტი 36.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 7%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 47% (ზრდა 2%), გერმანია 16% (ზრდა 1%), ლატვია 13% (ზრდა 16%), ლიეტუვა 7% (ზრდა 5%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 16.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 19%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 60% (ზრდა 14%), გერმანია 20% (ზრდა 25%), ლატვია 10% (ზრდა 20%).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 16.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 66%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 41% (ზრდა 3-ჯერ), გერმანია 16% (კლება 29%), პოლონეთი 2% (კლება 57%), იტალია 13% (ზრდა 4-ჯერ), ავსტრია 1% (კლება 73%), ჩეხეთი 7% (ზრდა 38%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 17.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 7%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 37% (კლება 36%), ლატვია 32% (ზრდა 2-ჯერ), ლიეტუვა 9% (ზრდა 26%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 11.7 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 25%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 26% (ზრდა 4-ჯერ), ბელგია 18% (კლება 74%), ლიეტუვა 15% (ზრდა 5-ჯერ), პოლონეთი 12% (კლება 51%), ბულგარეთი 3% (ზრდა 17%).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 17%-ით გაიზარდა და 732.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი გაიზარდა 1%-ით და 3 974.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 859.8 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 8%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 77% (ზრდა 5%), ბელგია 7% (ზრდა 60%), ჩეხეთი 3% (ზრდა 24%), იტალია 4% (ზრდა 21%), შვედეთი 4% (ზრდა 75%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 553.4 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 22%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 42% (ზრდა 41%), ბულგარეთი 35% (ზრდა 5%), კვიპროსი 11% (ზრდა 8-ჯერ), საბერძნეთი 4% (კლება 52%), გერმანია 3% (ზრდა 17%).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 333 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 12%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 25% (ზრდა 19%), უნგრეთი 18% (ზრდა 20%), საფრანგეთი 11% (ზრდა 3%).
- **სატელეფონო აპარატები** - იმპორტი 87.9 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 6%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ჩეხეთი 69% (ზრდა 3%), ნიდერლანდები 16% (ზრდა 12%).
- **ნარევები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში** - იმპორტი 59.4 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 19%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 72% (ზრდა 13%), გერმანია 14% (ზრდა 164%), ირლანდია 11% (კლება 16%).
- **შაქარი** - იმპორტი 50 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 13%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 34% (კლება 4%), პოლონეთი 34% (ზრდა 3-ჯერ), ნიდერლანდები 21% (კლება 7%), გერმანია 2% (კლება 58%).
- **ნაღების კარაქი** - იმპორტი 33.6 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა 69%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 60% (ზრდა 68%), ფინეთი 14% (ზრდა 34%), ბელგია 7% (ზრდა 130%).
- **ლაბორატორიული რეაგენტები** - იმპორტი 15.5 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 2%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 48% (კლება 2%), იტალია 13% (კლება 8%), საფრანგეთი 12% (კლება 2%), ესპანეთი 6% (ზრდა 2%).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **სატვირთო ავტომობილები** - იმპორტი 90.2 მლნ აშშ დოლარი (კლება 19%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 38% (კლება 27%), იტალია 15% (ზრდა 4-ჯერ), ნიდერლანდები 16% (კლება 16%), პოლონეთი 7% (კლება 42%), ბელგია 6% (კლება 28%).

- **ხელსაწყოები მედიცინაში გამოსაყენებელი** - იმპორტი 44.6 მლნ აშშ დოლარი (კლება 8%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 32% (ზრდა 4%), ნიდერლანდები 26% (კლება 11%), ბელგია 20% (კლება 17%), საფრანგეთი 11% (ზრდა 24%), პოლონეთი 2% (კლება 54%).
- **მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისგან** - იმპორტი 18 მლნ აშშ დოლარი (კლება 16%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ავსტრია 27% (კლება 62%), იტალია 14% (ზრდა 44%), გერმანია 9% (კლება 28%).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

დსთ-ს ქვეყნებთან **სავაჭრო ბრუნვა 8.7%-ით გაიზარდა,** შეადგინა 8 509.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დაიკავა საქართველოს მთლიანი ბრუნვის 33% **(2024 – 33%). ექსპორტი გაიზარდა** 11.5%-ით, 5 046.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 69 % დაიკავა (**2025-69%). იმპორტი** 5 %-ით გაიზარდა, 3 463 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 19% დაიკავა (**2024–20%).**

დსთ-ში ადგილობრივი ექსპორტი გაიზარდა 12.1%-ით, 1 391.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 27.6% დაიკავა და საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 41% **(2024 – 41%).**

რე-ექსპორტი 11%-ით გაიზარდა 3 655 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 72.4% დაიკავა და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 93% **(2024-92%).**

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 10%-ით გაიზარდა და 1 361.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტი 12%-ით გაიზარდა და 3 685.8 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 2 773.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 51% (ზრდა 19%), ყაზახეთი 28%

(ზრდა 4%), აზერბაიჯანი 8% (კლება 26%), ტაჯიკეთი 6% (ზრდა 6-ჯერ), უზბეკეთი 3% (ზრდა 4-ჯერ), სომხეთი 2% (კლება 45%).

- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 154.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 18%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 33% (კლება 16%), აზერბაიჯანი 21% (ზრდა 42%), ყაზახეთი 18% (ზრდა 64%), უზბეკეთი 9% (ზრდა 37), სომხეთი 10% (ზრდა 32%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 150.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 47% (კლება 8%), ყაზახეთი 23% (ზრდა 14%), უკრაინა 14% (ზრდა 7%), უზბეკეთი 8% (ზრდა 48%).
- **თხილი** - ექსპორტი 16 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 8%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 46% (ზრდა 54%), სომხეთი 29% (კლება 15%), უკრაინა 12% (კლება 15%), ბელარუსი 7% (კლება 9%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 247.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 3%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 64% (ზრდა 2%), სომხეთი 17% (კლება 12%), უკრაინა 7% (კლება 22%), ბელარუსი 5% (კლება 6%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 1%).
- **ღვინო** - ექსპორტი 205.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 83% (კლება 7%), უკრაინა 7% (ზრდა 7%), ყაზახეთი 5% (კლება 10%), ბელარუსი 4% (ზრდა 20%).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 123.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 2%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 52% (კლება 8%), აზერბაიჯანი 24% (ზრდა 10%), სომხეთი 10% (ზრდა 9%), ტაჯიკეთი 4% (ზრდა 20%), თურქმენეთი 2% (ზრდა 43%), ყაზახეთი 2% (ზრდა 48%).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 38.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 34%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 90% (კლება 35%), ყაზახეთი 3% (კლება 78%), რუსეთი 3% (ზრდა 6-ჯერ).
- **ციტრუსი** - ექსპორტი 26.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 60% (კლება 29%), სომხეთი 37% (კლება 6%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 12 მლნ. აშშ დოლარი (კლება 44%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 59% (კლება 1%), უკრაინა 25% (კლება 61%), რუსეთი 4% (კლება 92%), სომხეთი 11% (ზრდა 3-ჯერ).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 20%-ით გაიზარდა და 1 007.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 0.3%-ით შემცირდა და 2 455.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ნავთობის აირები** - 443.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 2%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 53% (კლება 7%), რუსეთი 47% (ზრდა 14%).
- **ხორბალი** - იმპორტი 128.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 69%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 80% (ზრდა 35%), ყაზახეთი 20% (2024-0).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - იმპორტი 81.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 13%). იმპორტიორი ქვეყანა: სომხეთი 92% (ზრდა 8%), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 2-ჯერ).
- **ცემენტი და კლინკერი** -იმპორტი 68 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 12%). სრული იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან.
- **მცენარეული ზეთი** - იმპორტი 65.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 26%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 87% (ზრდა 28%), უკრაინა 11% (ზრდა 23%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 5%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 36.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 36%). იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 53% (ზრდა 38%), სომხეთი 26% (ზრდა 2-ჯერ), რუსეთი 8% (კლება 10%), უკრაინა 4% (კლება 60%).

იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **არმატურა** - იმპორტი 21.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 83%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 88% (კლება 83%), აზერბაიჯანი 12% (კლება 79%).
- **სამკურნალო საშუალებები**- იმპორტი 19.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 13%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 46% (კლება 15%), ბელარუსი 22% (კლება 1%), სომხეთი 11% (კლება 14%).
- **შესქელებული რძე** - იმპორტი 17.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 17%). იმპორტიორი ქვეყნები: ბელარუსი 73% (კლება 19%), რუსრთი11% (კლება 41%), უკრაინა 11% (ზრდა 81%).
- **ხორბლის ფქვილი** - იმპორტი 8.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 51%). სრული იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან.